საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N01-02/69

ქ. ბათუმი 13 მაისი, 2021 წ.

,,2021 წლის მაისში ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორის შესარჩევი ღია კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 28 აპრილის N01-02/68 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შევიდეს ცვლილება ,,2021 წლის მაისში ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორის შესარჩევი ღია კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 28 აპრილის N01-02/68 ბრძანების საფუძველში და მე-5 პუნქტში, კერძოდ:

ა) ბრძანების საფუძველში ,, ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევი ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 07 აგვისტოს N 01-02/92 ბრძანების ნაცვლად მიეთითოს ,,ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 13 აპრილის N 01-02/59 ბრძანება;

ბ) ბრძანების მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

5. ეთხოვოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს უზრუნველყოფილი იქნეს საკონკურსო და სააპელაციო (არსებობის შემთხვევაში) კომისიები წინასწარ გამოყოფილი სამუშაო ოთახებით, რომლებიც აღჭურვილი იქნება შესაბამისი ინვენტარით.

2. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, კომისიის წევრებს.

3.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქუჩა N30).

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**